



ქ. დედოფლისწყარო



05 ოქტომბერი 2016 წელი

ქ. დედოფლისწყარო,

კოსტავას ქ. №44

ტელ. 0356222503

www.dedoplistskaro.ge

ელ.ფოსტა: dedoplistskaro_region@yahoo.com

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილის ბრძანება №618

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არბოშიკში მდებარე 47.1 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკუთრებად დარეგისტრირების შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 57-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, მე-3 პუნქტის დ.) ქვეპუნქტისა და სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 26 სექტემბრის №5/49603 წერილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკუთრებად დარეგისტრირდეს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არბოშიკში მდებარე 47.1 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი .
2. მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურმა (სამსახურის უფროსი დ. ფხოველიშვილი) უზრუნველყოს აღნიშნული ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია.
3. მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურმა (სამსახურის უფროსი ე. ბაიაშვილი) უზრუნველყოს საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდგომ ქონების აუდიტორული შეფასება და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ბალანსზე აღება.
4. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაეკისროს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველ მოადგილეს სოლომონ ღორაშვილს.
5. ბრძანება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე.
6. ბრძანების გასაჩივრება შეიძლება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელთან (ქ. დედოფლისწყარო მ. კოსტავას ქ. №44) და შემდგომ სიღნაღის რაიონულ სასამართლოში (ქ. სიღნაღი, ცოტნე დადიანის ქ. №15) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

სოლომონ ღორაშვილი
გამგებლის პირველი მოადგილე

